საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს
საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი

MINISTRY OF INTERNAL AFFAIRS OF GEORGIA
PATROL POLICE DEPARTMENT

26/09/2024

MIA 4 24 02954058

შპს ''ეს თი ეს"-ის წარმომადგენელს ნ. არჩუაძეს
თქვენს 2024 წლის 26 სექტემბრის განცხადებაზე

ასლი: შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის
ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს

შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტში განხილულ იქნა თქვენი განცხადება, რომელიც ეხება ქ. თბილისი, გორგასალის ქ. N 105 ს/კ 01.18.09.006.017-ის მიმდებარედ სამშენებლო დამცავი ღობის განთავსების და არსებული საგზაო/სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ნაკადების მიმართულების საგზაო მოძრაობის ორგანიზაციის წარმოდგენილი სქემების შეთანხმებას.

ვითვალისწინებთ რა, ქ. თბილისის მერიის მუნიციპალიტეტის სსიპ ტრანსპორტის და ურბანული განვითარების (წერილის ნომერი 26/09/2024 16-01242692165) სააგენტოს თანხმობას, შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი ითანხმებს (საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების კუთხით) წარმოდგენილ დროებითი და მუდმივი მოძრაობის ორგანიზაციის სქემებს და არ არის წინააღმდეგი მოაწყოთ სამშენებლო დამცავი ღობე შემდეგი პირობების დაცვით:

- სამშენებლო დამცავი ღობე შეიღებოს შავ-თეთრი ან წითელ-თეთრი ზოლებით, ქვეითად მოსიარულეთა უსაფრთხოების მიზნით დამცავი ღობის ფარგლებში მოეწყოს ქუჩის სავალი ნაწილის მხრიდან ქვეითად მოსიარულეთა ბილიკი, ღობე გზის სავალი ნაწილის მხრიდან გადაიხუროს და ღამის საათებში განათდეს;
- სამშენებლო ობიექტზე მისასვლელი გზა (სამუშაოების განხორციელების პროცესში) აღიჭურვოს მოძრაობის რეგულირების ტექნიკური საშუალებებით შეთანხმებული სქემების შესაბამისად, ხოლო მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ მოძრაოის ორგანიზების ტექნიკურ საშუალებებს გაუკეთდეს დროებით დემონტაჟი ან შეიფუთოს;
- საგზაო მოძრაობის რეგულირებისთვის და ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხო გადაადგილების მიზნით სამუშაოების მწარმოებლის მიერ გამოყოფილ იქნეს სპეც. ტანსაცმლით და ალმით აღჭურვილი საჭირო რაოდენობის თანამშრომელი;
- დაცული იქნას გზის სავალი ნაწილის სისაუფთავე, არ დაუშვათ სამშენებლო მასალისა და ტექნიკის გზის სავალ ნაწილზე განთავსება;
- სამუშაოების დასრულებისთანავე ფეხით მოსიარულეთა ბილიკი მოყვანილ იქნას არსებული სტანდარტის შესაბამისად, დროებითი მოძრაობის რეგულირების ტექნიკურ

0190, თბილისი, ნოე რამიშვილის ქ. №38
№38, Noe Ramishvili St. 0190, Tbilisi, Georgia
ტელ./Tel.: (+995 032) 2 41 42 42
ფაქსი/Fax: (+995 032) 2 41 85 02
E-mail: patrolinfo@mia.gov.ge

საშუალებებს გაუკეთდეს დემონტაჟი და გზის მიერთების ადგილები აღიჭურვოს მოძრაობის რეგულირების ტექნიკური საშუალებებით შეთანხმებული საგზაო მოძრაობის ორგანიზაციის სქემების შესაბამისად;

- სამუშაოების დაწყების შესახებ წინასწარ ეცნობოს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს და შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის სამორიგეო ნაწილს (241–85–04; 241–85–05).

მეორე ადრესატს: გთხოვთ, უზრუნველყოთ კონტროლის დაწესება წერილში მითითებულ პირობების შესრულებაზე და მოძრაობის რეგულირების ტექნიკური საშუალებების განთავსების მდგომარეობაზე. შეუსრულებლობის შემთხვევაში გაატარეთ ზომები საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 134 მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად.

საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი
საორგანიზაციო სამმართველო
სამმართველოს უფროსი
ტეფნაძე ლაშა



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **16-01242692165**
გაცემის თარიღი: **26/09/2024**

ადრესატი: შპს ეს თი ეს
საიდენტიფიკაციო ნომერი: 400234055
მისამართი: საქართველო, თბილისი, მთაწმინდის რაიონი, მერაბ კოსტავას ქუჩა, №60, სართული №1

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ განიხილა 2024 წლის 23 სექტემბრის №01242673537-16 განცხადება, რომელთან დაკავშირებითაც გაცნობებთ შემდეგს:

დაკმაყოფილდეს 2024 წლის 23 სექტემბრის №01242673537-16 განცხადება და შეთანხმდეს ქალაქ თბილისში, გორგასალის ქუჩის N 105-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N 01.18.09.006.017) საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა თანდართულ ბმულზე არსებული დანართის შესაბამისად.

საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემები შეთანხმებულია იმ პირობით, რომ სამშენებლო ტექნიკა იმოძრავებს მოქმედი სამართლებრივი დადგენილი წესით.

ასევე გაცნობებთ, რომ საჭიროების შემთხვევაში, სსიპ ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო იტოვებს უფლებამოსილებას, მოითხოვოს სამუშაოების პერიოდში არსებული სიტუაციის საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემის ალტერნატიული ვარიანტის წარმოდგენა. ამასთან, განსათავსებელი დროებითი საგზაო ნიშნები დამზადებული უნდა იყოს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სტანდარტების შესაბამისად.

სამუშაოების მიმდინარეობის პერიოდში, საგზაო მოძრაობის ორგანიზების დროებითი სქემის მიხედვით გათვალისწინებული საგზაო ნიშნები უნდა განთავსდეს მოძრავ დგარზე, რათა არ დაზიანდეს მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული ინფრასტრუქტურა.

იმ შემთხვევაში, თუ სამუშაოებისათვის საჭირო დროებითი და არსებული საგზაო ნიშნები ეწინააღმდეგება/ხელს უშლის ერთმანეთს, საჭიროა უკვე არსებული საგზაო ნიშნები შეიფუთოს, ხოლო სამუშაოს დასრულებისთანავე დემონტაჟი უნდა გაუკეთდეს დროებით დამონტაჟებულ საგზაო მოძრაობის ორგანიზების ტექნიკურ საშუალებებს და ქუჩის სავალი ნაწილი (ყველა შეფუთული ნიშნის ჩათვლით) მოყვანილი იქნას პირვანდელ მდგომარეობაში.

დამატებით გაცნობებთ, რომ თუ მშენებლობის პერიოდში, საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ, ხორციელდება სხვა სამშენებლო სამუშაოები და დროებითი საგზაო ნიშნები, რომლებიც განთავსებულია სხვა, ნებართვის მქონე, შემსრულებელი კომპანიის მიერ და კვეთს/ეწინააღმდეგება თქვენს მიერ დასამონტაჟებელ საგზაო ნიშნებს, დროებითი საგზაო ნიშნები დაიტანოთ საჭიროებისამებრ და აუცილებლობის შემთხვევაში, სამუშაოები განახორციელოთ უკვე განთავსებული დროებითი საგზაო ნიშნების გამოყენებით. ხოლო, სხვა შემსრულებლის მიერ, სამუშაოების დასრულებისა და ნიშნების დემონტაჟის შემთხვევაში, უზრუნველყოთ თქვენი საგზაო ნიშნების სრულად მონტაჟი, მოცემული პირობების შესაბამისად.

საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემის ცვლილება საჭიროებს შეთანხმებას სააგენტოსთან.

გადაწყვეტილების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია ამ გადაწყვეტილების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მისამართი: ჟ. შარტავას ქუჩა N7) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

დანართი: სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ შეთანხმებული საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემები იხილეთ თანდართულ ბმულზე :

https://cloud.msda.ge/index.php/s/kMNCQQa8gs4RmIm

პატივისცემით,

ვიქტორ წილოსანი

სააგენტოს უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი



საგზაო მოძრაობის ორგანიზების დროებითი სქემა

მისამართი:

ქ. თბილისი ვ.გორგასლის ქუჩის მიმდებარედ
(ს.კ. 01.18.09.006.017)
საგზაო მოძრაობის ორგანიზების დროებითი სქემა.
(ღობის მონტაჟი-დემონტაჟი)

თარიღი: 2024 წელი	მასშტაბი: პირობითი
დამკვეთი:	შპს "ირბის"

შ.პ.ს "STS"
(Smart Transportation Solutions)
ტელ: 577 15-55-75

შეასრულა: ვაკო ბურდული
ტელ: 598-14-77-01

შეამოწმა: ვახტანგ თავდიშვილი
ტელ: 551-14-14-84

საგზაო მოძრაობის ორგანიზაციის ტექნიკური საშუალებები

T7 ციმციმა -2ც

პირობითი აღნიშვნები

ქვეითთა მოძრაობის მიმართულება

სამშენებლო ტექნიკის მოძრაობის მიმართულება

ღობურა

მედროშე 1 ადამიანი

SMART TRANSPORTATION SOLUTIONS

საგზაო მოძრაობის ორგანიზების დროებითი სქემა

მისამართი:

ქ. თბილისი ვ.გორგასლის ქუჩის მიმდებარედ
(ს.კ. 01.18.09.006.017)
საგზაო მოძრაობის ორგანიზების დროებითი სქემა.
(მშენებლობის პერიოდი)

თარიღი: 2024 წელი	მასშტაბი: პირობითი
დამკვეთი:	შპს "ირგის"

შ.პ.ს "STS"
(Smart Transportation Solutions)
ტელ: 577 15-55-75

შეასრულა: ვაკო ბურდული
ტელ: 598-14-77-01

შეამოწმა: ვახტანგ თავდიშვილი
ტელ: 551-14-14-84

საგზაო მოძრაობის ორგანიზაციის ტექნიკური საშუალებები

T7 ცომცომა- 2ც



პირობითი აღნიშვნები



SMART TRANSPORTATION SOLUTIONS

საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემები შეთანხმებულია წერილის ნომრით 16-0119077961 ხდება მხოლოდ გენგეგმის მცირედი ცვლილება

კონსოლი

არსებული შესასვლელი

ვ. გორგასლის ქ.



გზათაძსელი და საძვეითე ტროტუატი მოწყობილია არსებული სიტუაციის მიხედვით

საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა

მისამართი:

ქ. თბილისი ვ.გორგასლის ქუჩის მიმდებარედ
(ს.კ. 01.18.09.006.017)
საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა.

თარიღი: 2024 წელი	მასშტაბი: პირობითი
დამკვეთი:	შპს "ორბის"

შ.პ.ს "STS"
(Smart Transportation Solutions)
ტელ: 577 15-55-75

შეასრულა: ვაკო ბურდული
ტელ: 598-14-77-01

შეამოწმა: ვახტანგ თავდიშვილი
ტელ: 551-14-14-84

საგზაო მოძრაობის ორგანიზაციის ტექნიკური საშუალებები



2.3 - 1ც

4.1.2 - 1ც

5.19.1 - 2ც

5.19.2 - 2ც



პირობითი აღნიშვნები





შენიშვნა:
პანდუსის პარამეტრები განისაზღვრება 41-ე დადგენილების ქვეთავი 406 -ის მიხედვით.

SMART TRANSPORTATION SOLUTIONS

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექცია

№ 4-21 633-24
"05" 04 2024 წ.

დადგენილება №004092
სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე

05.04.2024წ. **ქ. თბილისი, გ. შარტავას ქ. №7**

მე, მუნიციპალური ინსპექციის უფროსის მოადგილემ მამუკა ჯაფარიძემ, განვიხილე 2024 წლის 12 თებერვლის №004092 მითითება და 2024 წლის 5 მარტის №004092 შემოწმების აქტი შედგენილი, **შ.პ.ს „ირბის"-ის** (ს/ნ №205133461 მის: ქ. თბილისი, კრწანისის რაიონი, ქუჩა გორგასალი, №105) მიმართ, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 132-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა" ქვეპუნქტის „ა.დ." ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დარღვევაზე და **გამოვარკვიე:**

ქ. თბილისში, ქუჩა გორგასალი, №105, №01.18.09.006.017 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, **შ.პ.ს „ირბის"-ის** მიერ, განხორციელდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის №6029619 11.07.2022წ. ბრძანებით შეთანხმებული კორექტირებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით, კერძოდ: შახტების მოწყობა ნაწილობრივ არ შეესაბამება საპროექტოს. ნაწილობრივ შეცვლილია კიბეების მარშის მიმართულება. მიწისქვეშა სართულებზე: „1[1]-10" „ა[1]-ი" მონაკვეთში დამატებით მოწყობილია კოლონები და ნაწილობრივ შეცვლილია კოლონების ფორმა. "14-15" "ა-ბ" მონაკვეთში შეცვლილია პერიმეტრის კედლების ფორმა და გაბარიტი. „ა[1]-ა" მონაკვეთში „10" ღერძზე კედელს მონაცვლებული აქვს ადგილმდებარეობა, რითიც შემცირებულია ფართი. ნაწილობრივ შეცვლილია ფანჯრების გაბარიტი და ვიტრაჟების კარის გაღების მიმართულება. **გეგმა -3.00 ნიშნულზე:** „ზ-თ" „10-11" მონაკვეთში დამატებით მოწყობილია კიბის უჯრედი. **გეგმა +62.40 ნიშნულზე:** „3-4" მონაკვეთში „ი" ღერძზე საფასადე კედელს მონაცვლებული აქვს ადგილი და გაუქმებულია აივანი. „თ-ი" „4-5" მონაკვეთში შეცვლილია პერიმეტრის კედლის ფორმა და ადგილმდებარეობა რითიც შემცირებულია აივნის გაბარიტი. **„ა" ბლოკი:** „ა-ი" ფასადზე : „ზ-თ" მონაკვეთში დამატებით მოწყობილია ფანჯრის ღიობები. გეგმა +66.30 ნიშნულზე: „3-4" „გ-დ" მონაკვეთში შეცვლილია ნიშნულის სიმაღლე. **„ბ" ბლოკი:** „ა[1]-ა" ფასადზე: „დ-ე" მონაკვეთში დამატებით მოწყობილია ფანჯრის ღიობები. გეგმა +39.30 ნიშნულზე: შეცვლილია გეგმარება (ბინების რაოდენობა). გეგმა +52.50 ნიშნულზე: შეცვლილია გეგმარება (ბინების რაოდენობა).

მუნიციპალური ინსპექციის სპეციალისტის მიერ, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 123-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად,

ქ. თბილისი 0160, გ. შარტავას ქუჩა №7, ტელ: (+995 32) 2 378 501, 2 378 396

სამართალდამრღვევის მიმართ, 2024 წლის 12 თებერვალს შედგა №004092 მითითება, რომლითაც მხარეს განესაზღვრა 20 (ოცი) კალენდარული დღის ვადა ობიექტის, შეთანხმებულ არქიტექტურულ პროექტთან შესაბამისობაში მოსაყვანად, უსაფრთხოების წესების დაცვით.

2024 წლის 5 მარტს, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 124-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, მუნიციპალური ინსპექციის სპეციალისტის მიერ, შედგა №004092 შემოწმების აქტი, რომლითაც დაფიქსირდა მითითებით გათვალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობა.

2024 წლის 21 მარტს, აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით გაიმართა საქმის განხილვა. საქმის განხილვის თარიღის შესახებ სათანადო წესით ეცნობა მხარეს. სხდომაზე მხარე არ გამოცხადდა.

2024 წლის 3 აპრილს, აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით გაიმართა საქმის განხილვა. საქმის განხილვის თარიღის შესახებ სათანადო წესით ეცნობა მხარეს. სხდომაზე გამოცხადდა შ.პ.ს „ირბის''-ის წარმომადგენელი მოქ. ელენე ბეთანელი, რომელმაც დაადასტურა მითითებისა და შემოწმების აქტის ჩაბარება. მხარემ განმარტა, რომ იცნობს მითითების შინაარსს, დარღვევებს და აპირებენ პროექტის კორექტირებას ჯარიმის საფუძველზე.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის უფროსი სპეციალისტის, 2024 წლის 5 აპრილს, ობიექტის ხელმეორედ გადამოწმების შედეგად შედგენილი მოხსენებითი ბარათით დადგინდა, რომ დღეის მდგომარეობით შ.პ.ს „ირბის''-ის მიერ არ არის შესრულებული 2024 წლის 12 თებერვლის №004092 მითითებით გათვალისწინებული მოთხოვნები. საქმეშია ობიექტის ამსახველი ფოტომასალა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან **შ.პ.ს „ირბის''-ის** მიერ, ჩადენილია საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი''-ს 132-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა" ქვეპუნქტის „ა.დ." ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამშენებლო სამართალდარღვევა, კერძოდ ქ. თბილისში, ქუჩა გორგასალი, №105, №01.18.09.006.017 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, **შ.პ.ს „ირბის''-ის** მიერ, განხორციელდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის №6029619 11.07.2022წ. ბრძანებით შეთანხმებული კორექტირებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით, კერძოდ: შახტების მოწყობა ნაწილობრივ არ შეესაბამება საპროექტოს. ნაწილობრივ შეცვლილია კიბეების მარშის მიმართულება. მიწისქვეშა სართულებზე: „1ˡ-10“ „აˡ-ი“ მონაკვეთში დამატებით მოწყობილია კოლონები და ნაწილობრივ შეცვლილია კოლონების ფორმა. “14-15” “ა-ბ“ მონაკვეთში შეცვლილია პერიმეტრის კედლების ფორმა და გაბარიტი. „აˡ-ა“ მონაკვეთში „10“ ღერძზე კედელს მონაცვლებული აქვს ადგილმდებარეობა, რითიც შემცირებულია ფართი. ნაწილობრივ შეცვლილია ფანჯრების გაბარიტი და ვიტრაჟების კარის გაღების მიმართულება. **გეგმა -3.00 ნიშნულზე:** „ზ-თ“ „10-11“ მონაკვეთში დამატებით მოწყობილია კიბის უჯრედი. **გეგმა +62.40 ნიშნულზე:** „3-4“ მონაკვეთში „თ“ ღერძზე [illegible] კედელს მონაცვლებული აქვს ადგილი და გაუქმებულია [illegible] „თ-ი“ „4-5“ მონაკვეთში შეცვლილია პერიმეტრის კედლის ფორმა, და ადგილმდებარეობა რითიც შემცირებულია აივნის გაბარიტი. **„ა“ ბლოკი:** ფასადზე : „ზ-თ“ მონაკვეთში დამატებით მოწყობილია ფანჯრის ღიობები. გეგმა +66.30 ნიშნულზე: „3-4“ „გ-დ“ მონაკვეთში შეცვლილია ნიშნულის სიმაღლე. **„ბ“ ბლოკი:** „ი-აˡ“ ფასადზე: „დ-ე“ მონაკვეთში დამატებით მოწყობილია ფანჯრის ღიობები. გეგმა +39.30 ნიშნულზე: შეცვლილია გეგმარება (ბინების

რაოდენობა). ეგმა +52.50 ნიშნულზე შეკვლიდია გეგმარება (ბინების რაოდენობა).

ვიხელმძღვანელე რა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IV თავით, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და პირობების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ", საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 122-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 125-ე მუხლის მე-4 ნაწილით, 126-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 128-ე მუხლის მე-3 ნაწილით და 132-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა" ქვეპუნქტის „ა.დ." ქვეპუნქტით

დავადგინე:

1. **შ.პ.ს „ირბის"** დაჯარიმდეს 15 000 (თხუთმეტი ათასი) ლარით, ქ. თბილისში, ქუჩა გორგასალი, №105, №01.18.09.006.017ს/კ-ზე, IV კლასის შენობა-ნაგებობის (მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი) კორექტირებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით მშენებლობისთვის;

2. **შ.პ.ს „ირბის"-ს** დაევალოს, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 126-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ჯარიმა გადაიხადოს ბიუჯეტის სასარგებლოდ დაჯარიმების შესახებ დადგენილების ჩაბარებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში:

საჯარიმო თანხა ჩაირიცხოს შემდეგ ანგარიშზე - **მიმღების დასახელება**: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო, **მიმღების ბანკი**: სახელმწიფო ხაზინა, **ბანკის კოდი: TRESGE22, საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: 300773263, გადახდის დანიშნულება:** დადგენილების ნომერი სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე.

3. საჯარიმო თანხის ნებაყოფლობით გადახდის შემთხვევაში, **შ.პ.ს „ირბის"-ს** დაევალოს, შესაბამისი გადახდის ქვითრის წარმოდგენა;

4. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 126-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ჯარიმის დადგენილ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში, სამშენებლო სამართალდამრღვევს დაერიცხება ჯარიმა სამშენებლო სამართალდამრღვევის დაჯარიმების შესახებ დადგენილებით განსაზღვრული საჯარიმო თანხის ოდენობით.

5. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 126-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, ჯარიმის დაკისრების საფუძვლების აღმოუფხვრელობის შემთხვევაში, მისი დაკისრებიდან ყოველი სამი თვის შემდეგ, სამშენებლო სამართალდამრღვევი ჯარიმდება თავდაპირველად დაკისრებული ჯარიმით გათვალისწინებული

ადგილობრივ თანხის სამმაგი ოდენობით, რომელიც მას შეიძლება დაეკისროს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის საქმეზე სამჯერ.

6. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს, მისი გაცნობიდან 15 კალენდარული დღის ვადაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მის.: ქ. თბილისი, ვ. შარტავას ქუჩა №7)

მუნიციპალური ინსპექციის უფროსის მოადგილე მამუკა ჯაფარიძე

საგადახდო დავალება

Payment Order

#1713184920 GEL

მიღების/შესრულების თარიღი : 2024-04-16

Receipt/Execution date

თიბისი ბიზნესისთვის

ს.ს. "თიბისი ბანკი"

გადამხდელი / Sender

შპს ირბის, 205133461

რეფერენსი / Ref. Num.
12202318094

გადამხდელის ანგარიში/ Sender's Account: GE63TB1100000360500338

გადამხდელის ბანკი / Sender's Bank | ბანკის კოდი/ Bank Code

სს "თიბისი ბანკი" | TBCBGE22

თანხა / Amount

15000 GEL

თანხა სიტყვიერად

Amount in words

თხუთმეტიათასი ლარი და 00 თეთრი

ინფორმაცია პირზე, რომლის მაგივრადაც სრულდება გადახდა
Information on a person on behalf of whom the payment is made

დასახელება/ Name: შპს ირბის, 205133461

საიდენტიფიკაციო კოდი/ Sender's Tax Code: 205133461

მიმღები / Receiver

ხაზინის ერთიანი ანგარიში. სხვა შემოსულობები (თვითმმართველი ქალაქი თბილ

სახაზინო კოდი / Treasury Code: 300773263

წარდგენის თარიღი
/ Document submission date

2024-04-15

ხაზინა / Treasury | ბანკის კოდი/ Bank Code

ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური | TRESGE22

ხელმოწერა

Signature

გადახდის დანიშნულება / Operation Details

შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) არქიტექტურულ - სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევის გამო

დამატებითი ინფორმაცია / Additional Information

004092 სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე

ბ.ა.

დაბეჭდილია ინტერნეტ ბანკით
თიბისი ბანკი TBC BANK
PRINTED VIA INTERNET BANKING

ხელმოწერები

Signatures

ამ დოკუმენტის ხელმოწერით კლიენტი ადასტურებს, რომ: დეტალურად იცნობს სს "თიბისი ბანკის" ფილიალებსა და ინტერნეტ გვერდზე www.tbcbank.ge განთავსებულ საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ ხელშეკრულების პირობებს (ამ ხელშეკრულებაში შეტანილ ყველა ცვლილებასა და დამატებას) და ეთანხმება მათ, რითაც უერთდება ზემოხსენებულ ხელშეკრულებას.